პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 16 აგვისტო 1941 წ. № 193 (6198) ფასი 15 კაპ.

მზად ვიყოთ ქიმიური თავდაცვისათვის

გერმანელი ფაშისტები, რომლებიც ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს სამშობლოს, ახალ უმაგალითო ბოროტმოქმედებებს ამზადებენ. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, ჰიტლერელმა კაციჭამიებმა, რომლებიც წინასწარ გრძნობდნენ, რომ „ელვისებური ომის" თავიანთი ავანტიურისტული ტაქტიკის განხორციელებაში სიძნელეებს წააწყდებოდნენ...

...ზურგშიც თავისი საჰაერო მეკობრეების დახმარებით.

მომწამლველი ნივთიერებანი, რომლებიც შეიძლება ფაშისტებმა გამოიყენონ, ჩვენთვის ცნობილია. ქიმიური თავდასხმისაგან თავდაცვის საშუალებანი, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, სრულიად საიმედოა. ეს უწინარეს და უპირველეს ყოვლისა უნდა იცოდეს წო-...

...უკვე საქმით დაამტკიცა თავისი უნარი და მოსაზრებულობა მტრის საჰაერო თავდასხმების დროს. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის მთელი მოზრდილი მოსახლეობის საყოველთაო სავალდებულო მომზადების ტემპები. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ თავდაცვის ჯგუფები, კერ-...

...გამოიყენოს მომწამლველი ნივთიერებანი როგორც ფრონტზე, ისე ...ხლებში.

ბევრმა საბჭოთა პატრიოტმა ... წყალს ბილწავენ.

„პრავდის" მოწინავე, 15/VIII.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(14 აგვისტოს საღამოს ცნობა)

14 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან მთელ ფრონტზე ყინულოვანი ოკეანედან შავ ზღვამდე. სამხრეთის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქალაქები კიროვოგრადი და პერვომაისკი.

ჩვენი ავიაცია სახმელეთო ჯარებთან ურთიერთმოქმედებით ... ნაგრძობდა იერიშები ... მტრის ჯარებზე და ... ციას მის აეროდრომებ...

13 აგვისტოს განმავ... მოგდებულია საჰაერო ... ბის დროს და მოსპობი... დრომებზე გერმანელთა ... ფრინავი. ჩვენ 27 თვი... დავკარგეთ.

ბალტიის ზღვაში ჩვე... დმა გერმანელთა წყალ... ჩასძირა.

...

...ტი მოსჩანდა. ზღვა დღესავით განათდა. ალმოდებულ ტანკერს ფაშისტთა თვითმფრინავები მიუახლოვდნენ. უძლური გაბოროტებით შეპყრობილმა გერმანელმა ფაშისტებმა თვითმფრინავებიდან ათამდე სიღრმის ყუმბარა გადმოაგდეს ზღვაში, მაგრამ არცერთ მათგანს არ მიუყენებია ზიანი ჩვენი ნავი-...

80 შაშხანა, 13 რევოლვერი და საკმაოდ ბევრი საომარი მასალა. ს-ს რაიონში პარტიზანებმა ამხ. მ-ს მეთაურობით გერმანელ ველოსიპედისტთა დიდი რაზმი გაჰფანტეს. ბრძოლაში მოჰკლეს 10 გერმანელი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს საჭურველი და მნიშვნელოვანი ...

...ოებზე. მუშებს თან ახლავთ ბადრაგა. 26 ივნისს ბადრაგას თავს დაესხნენ. ჯარისკაცებმა იარაღს მიმართეს. მთავარი წამქეზებლები გაიქცნენ და ახლა გულმოდგინედ სწარმოებს მათი ძებნა. მათი ნათესავები და მახლობლები დაპატიმრებული არიან მძევლებად. თუ გაქცეულნი ვერ ვიპოვეთ, მძევ-...

...

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

(15 აგვისტოს დილის ცნობა)

...ფაშისტებმა იერიში მიიტანეს ახალ პოზიციებზე, მაგრამ მათ ძლიერი სროლით უპასუხეს ჩვენმა მეტყვიამფრქვევეებმა, მსროლელებმა და სნაიპერებმა. რამდენიმე საათის განმავლობაში წითელარმიელებმა გერმანელთა 4 იერიში მოიგერიეს. თავდაცვის წინა ხაზთან საღამოსათვის გერმანელ ჯარისკაცთა 250 გვამი ეყარა. კაპიტანმა კარმანოვმა გადასწყვიტა ღამით გაერღვია მტრის რკალი და წითელი არმიის ნაწილებს შეერთებოდა. საღამოს 10 საათზე ტყვიამფრქვევებიანმა ტაჩანკებმა მარცხენა ფლანგზე ერთობლივი სროლა გააჩაღეს. ფაშისტებმა გადასწყვიტეს, რომ საბჭოთა ჯარის ნაწილი ამ ხაზის გასარღვევად ემზადებაო. გერმანელებმა აქეთკენ დასძრეს მთავარი ძალები. შუაღამისას კაპიტან კარმანოვის ნაწილმა გერმანელთა მარჯვენა ფლანგს დაარტყა. ლეიტენანტ გრუზდევის ოცეულმა უეცარი დარტყმით ხელთ იგდო ფაშისტთა ნაღმტყორცნების ბატარია. ლეიტენანტ კოპიცევის ოცეულის მეომრებმა სწრაფად გააუვნებლეს დაზგის ტყვიამფრქვევთა ჯგუფი. ამის შემდეგ კაპიტან კარმანოვის ნაწილის მეომრებმა გერმანიის ბატალიონებს ზურგი-...

...ბულ მანქანებთან. ერთი საათის შემდეგ ტანკები შეკეთებულ იყვნენ და საბრძოლველად დაიძრნენ. სერჟანტ მიცენკოს ბრიგადამ, მტრის ცეცხლის მიუხედავად, 12 წუთში აღადგინა ფაშისტთა ყუმბარებისაგან დაზიანებული 5 საბჭოთა ჰაუბიცი. ბრიგადა მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოს ხიტროვის, უმცროს სერჟანტ ლობიზენკოს და მეომარ სპიროვის შემადგენლობით გახურებულ სატანკო იერიშის დროს მივიდა ჩვენს დაზიანებულ ...

...საც რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ო. მეთაურობს, დაიკავა რკინიგზის პატარა სადგური გ. ნახევარი საათის განმავლობაში პარტიზანებმა რამდენიმე კილომეტრზე მოხსნეს სადენები, მოსპეს ტელეფონისა და ტელეგრაფის აპარატები, ააფეთქეს წყალსაქაჩის სატუმბო სადგური და ცეცხლი წაუკიდეს სადგურს. სოფელ ა-სთან ტყეში პარტიზანებმა ორ კილომეტრ მანძილზე მოაწყეს რამდენიმე ორმო-ხაფანგი და დანაღმეს ეს ...

...მები ყოველ დღე გაფიცვას აცხადებენ. აგვისტოს პირველ რიცხვებში მუშაობა შესწყვიტა და სურსათი მოითხოვა ფრამერში „კრაშე პიკრის" მაღაროს 1.200 მაღაროელმა. ლიეჟის ქვანახშირის აუზში გაიფიცა 2.500 მაღაროელი. ქალაქ ლოტში, ბრიუსელის მახლობლად, მუნიციპალიტეტის შენობის წინ ქალებმა, რომლებიც თავიანთი შვილებისათვის პურს მოითხოვდნენ, მასობრივი დემონსტრაცია მოაწყეს.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი ზ. ფირლინგერი

15 აგვისტოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ზ. ფირლინგერი.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

ა. წ. 12 აგვისტოს ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ბ-ნმა შიშმანოვმა საბჭოთა საელჩოს მრჩეველს ბულგარეთში ამხ. ალექსანდროვს წარუდგინა განცხადება იმის შესახებ, რომ 11 აგვისტოს ღამით, საბჭოთა თვითმფრინავებმა თითქოს ჩამოჰყარეს რამდენიმე ყუმბარა ბულგარეთის ტერიტორიაზე. ბ-ნმა შიშმანოვმა ამას დასძინა, რომ შესაძლოა ყუმბარები ჩამოჰყარეს სერბიელებმა ან ბერძნებმა, რომლებიც ...

...მელთანაც მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, ვინაიდან საბჭოთა თვითმფრინავებს არასოდეს არ უფრენიათ ბულგარეთის ტერიტორიაზე და ამისათვის მათ საბაბი არა აქვთ. თვითმფრინავების ასეთი ფრენა და ყუმბარების ჩამოყრა ბულგარეთის ტერიტორიაზე შეეძლოთ მოეხდინათ მხოლოდ პროვოკაციული მიზნით და მხოლოდ ჰიტლერის გერმანიის აგენტებს. ზემოთქმულის გამო საბჭოთა მთავრობა უარჰყოფს ბულგარეთის მთავრობის მიერ ...

დარწმუნებული ვართ, რომ წითელი არმია გაიმარჯვებს

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელზე გისბორნიდან (ახალი ზელანდია) მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშები:

„სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ ხალხური წითელი არმია გაიმარჯვებს. მივესალმებით ბრიტანელ ხალხთან კავშირის დადებას. მოსპეთ ფაშისტი ბარბაროსები.

გისბორნში (ახალი ზელანდია) გამართული მასობრივი მიტინგი მხარს უჭერს საბჭოთა რუსეთს.

სამერსი".

ანტოფაგასტიდან (ჩილი):

„გვარჯილის მრეწველობის მშრომელნი მიესალმებიან საბჭოთა ხალხს სამართლიან ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ.

პედრო ვალდივია".

(საკდესი).

ლეიტენანტ ი. ს. ჭაბუკიანის დაჯილდოება

მოსკოვი, 14 აგვისტო (ზილდ-აპარატით „კომუნისტის" საკ. კორ.). გაზეთები დღეს აქვეყნებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით სამხედრო - საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობის დაჯილდოების შესახებ. გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლის ფრონტზე ...

(მიღებულია რადიოთი საქ-რადიოკომიტეტის მიერ).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 15 აგვისტოს საღამოს ცნობიდან

15 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან მთელ ფრონტზე.

ჩვენს ავიაციას სახმელეთო ჯარებთან თანამოქმედებით კვლავ მიჰქონდა იერიშები მტრის ჯარებზე და თავს ესხმოდა მის ავიაციას აეროდრომებზე.

არასრული ცნობებით, 14 აგვისტოს განმავლობაში მოსპობილ იქნა გერმანიის 21 თვითმფრინავი. ჩვენ 11 თვითმფრინავი დავკარგეთ.

(მიღებულია რადიოთი საქ-რადიოკომიტეტის მიერ).

15 აგვისტოს ღამით მოსკოვზე გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმის უნაყოფო ცდა

15 აგვისტოს ღამით, გერმანიის თვითმფრინავების მცირე ჯგუფმა სცადა თავს დასხმოდა მოსკოვს. მტრის თვითმფრინავები გაფანტულ იქნენ საზენიტო არტილერიის ცეცხლით და ჩვენი ღამის ავიაგამანადგურებლების მიერ და დაშვებული არ იქნენ მოსკოვამდე.

(მიღებულია რადიოთი საქ-რადიოკომიტეტის მიერ).

უკანასკნელი ცნობები

ანტონესკუ შინაურ პატიმრობაში

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „დეილი ჰერალდი" გადმოგვცემს, რომ ანტონესკუ ფაქტიურად გესტაპოს შინაურ პატიმრობაში იმყოფება, მისი დაპატიმრების შესახებ განკარგულება მას შემდეგ გაიცა, რაც მან უარი სთქვა გაეწვია სამხედრო სამსახურში კიდევ 500 ათასი კაცი. ანტონესკუს უარი იმის შედეგი იყო, რომ სსრ კავშირთან ომის პირველ დღეებში რუმინეთის სამეფო გვარდიის ორი დივიზია სავსებით მოსპობილ იქნა, ხოლო შემდეგ რუმინეთის ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ ჯარის ბევრი ნაწილი საერთოდ აღარ არსებობდა როგორც სამხედრო ერთეული. გერმანიის სარდლობამ, რომელიც თავის ძალებს უფრთხილდებოდა, წინ, საბჭოთა ჯარის ცეცხლქვეშ დააყენა რუმინეთის დივიზიები და გერმანიის ჯარის ნაწილები მეორე ეშელონზე გადაიყვანა. ანტონესკუ ცდილობდა შეესრულებინა გერმანელების მოთხოვნა, მაგრამ სხვა მინისტრებმა და მრჩევლებმა სახელმწიფოში მღელვარების გაძლიერების შიშით, კატეგორიული უარი განაცხადეს ახალი მობილიზაციის მოწონებაზე.

ბივერბრუკი ვაშინგტონს ჩავიდა

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ვაშინგტონში თვითმფრინავით ჩამოვიდა ინგლისის მომარაგების მინისტრი ბივერბრუკი, რომელსაც თათბირი ექნება ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ მეომარი ქვეყნების მომარაგების შესახებ.

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 14 აგვისტოს შესდგა, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს უფროსის მოადგილემ ამხ. ს. ა. ლოზოვსკიმ შემდეგი განაცხადა:

— გერმანიის მთელი რიგი დივიზიებისა და ჯარის სხვა შენაერთთა განადგურებასთან დაკავშირებით, ჩვენ ხელთ ვიგდეთ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობისა და ჯარის ცალკეულ ნაწილთა სარდლობის საკმაოდ ბევრი საიდუმლო ცირკულარი და ბრძანება, რომელნიც ცხადჰყოფენ, რომ გერმანიის არმიას ღრმა წყლული ხრწნის. ცირკულარებში ძალიან ბევრს სწერენ ბატონი ოფიცრებისა და ჯარისკაცების გარყვნილებაზე, ქურდობაზე, ბანდიტიზმზე, კერძო ქონების ძარცვაზე, ქალების გაუპატიურებაზე და ოფიცერთა და რიგითი შემადგენლობის მორალურ აღვირახსნილობაზე. ყველა ეს დანაშაული, ჩვეულებრივად, დაკავშირებულია ოკუპირებულ რაიონებში გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მოქმედებასთან.

მთავარსარდალ ბრაუხიჩის 1940 წლის 31 აგვისტოს დირექტივაში პუნქტებად ჩამოყალიბებულია ოფიცერთა კორპუსის უმზგავსი მოქმედება საფრანგეთში.

ეს დოკუმენტი, რომელსაც უკვე ერთი წლის ხანდაზმულობა აქვს, გვიჩვენებს, რომ გერმანიის არმიას დიდი ხანია ახასიათებს მორალური გახრწნილება.

მე-125 ქვეითი დივიზიის შტაბის 1941 წლის 25 ივლისის ცირკულარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არმიის შემადგენლობის ცალკეულ პირებს „უფლება არა აქვთ თავიანთი ინიციატივით აწარმოონ საკუთრების ჩამორთმევა“. ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკეულმა პირებმა იმდენი კერძო საკუთრება ჩამოართვეს (რა თავაზიანი ტერმინია!), რომ დივიზიის შტაბიც კი იძულებული გახდა საქმეში ჩარეულიყო.

მამხილებელ დოკუმენტს წარმოადგენს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის რწმუნებულის 1941 წლის 24 ივლისის მოხსენება, რომელსაც სურათოვანი სათაური აქვს: „გერმანიის ჯარების მიერ დაკავებული საბჭოთა რუსეთის დასახლებული პუნქტების ძარცვისა და ნგრევის შესახებ“. მოხსენების ავტორი იუწყება, რომ მან დაწვრილებით დაათვალიერა ქალაქი ვ. მას შემდეგ, რაც იგი გერმანიის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს, და გამოარკვია, რომ საბჭოთა ჯარის წასვლის ერთი საათის შემდეგ დაიწყო ძარცვისა და განადგურების ველური ვაკხანალია. აი რას იუწყება ამის შესახებ მოხსენება:

„მაშინვე დაიწყო საყოველთაო ძარცვა. მეორე დღეს დილით თითქმის ყველა მაღაზია... სრულიად დაცარიელებული აღმოჩნდა... ჩვენი ჯარების კოლონები, აგრეთვე ოფიცრები და მოხელეები აფორიაქებდნენ ქალაქს და მონაწილეობას იღებდნენ(!) მაღაზიებიდან და საწყობებიდან საქონლის გატანაში(!)“.

„ნაშუადღევს გაგზავნილი პატრულები, რომელთაც უნდა შეეწყვიტათ ძარცვა, ვერაფერს გახდნენ... უნდა აღინიშნოს, რომ არსად არცერთ უფროსს არ გაუწევია წინააღმდეგობა ამისათვის. გამორკვეულია, რომ ჯარისკაცებმა არა მარტო გაძარცვეს მაღაზიები, არამედ მოწყობილობაც დაამსხვრიეს“.

ფაშისტთა რწმუნებულნიც კი გაოცდა იმ უაზრო სისასტიკეზე, რომლითაც გერმანელი ჯარისკაცები ანადგურებენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებათ.

„შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯარისკაცები განადგურების საყოველთაო წყურვილით არიან შეპყრობილნი“, — მელანქოლიურად შენიშნავს ამ საოცარი დოკუმენტის ავტორი.

არმიის გენერალური შტაბის 1941 წლის 13 ივლისის № 11 ინსტრუქცია შეეხება ნადავლი ფეხსაცმლის ხელში ჩაგდებას აღმოსავლეთში და მითითებას იძლევა, თუ როგორ უნდა წაართვან ფეხსაცმელი არა მარტო ცოცხლებს, არამედ მკვდრებსაც.

ინსტრუქცია ურჩევს მიმართონ ნამდვილ ორგანიზებულ მაროდიორობას და მითითებას აძლევს იმის შესახებ, რომ „უნდა ჩამოართვან ფეხსაცმელი ტყვე რუსებს“.

ზემოთმოყვანილ ბრძანებებში, ცირკულარებსა და ინსტრუქციებში გამოხატულია, მართალია, შელამაზებული სახით, გერმანიის არმიის ნამდვილი ცხოვრება. ეს ბრძანებანი აბათილებენ გერმანიის პროპაგანდის მიერ გავრცელებულ ლეგენდას გერმანიის არმიის „მაღალი მორალური დონის“ შესახებ, იმის შესახებ, რომ გერმანიის არმია „უნაკლოა“ და რომ ძარცვა და ძალადობა ვითომდა საბჭოთა პროპაგანდის მიერ მოგონილია.

ზემოჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად ხელში ჩაგვივარდა 1941 წელს გამოცემული და „მხოლოდ არმიის შიგნით გასავრცელებლად“ განკუთვნილი წიგნაკი ვინმე ბრუნო ბრემისა სახელწოდებით „როგორ უნდა ეპყრობოდნენ გერმანელები უცხოელებს“. ამ ოფიციალურ გამოცემაში ჩვეულებრივ ფაშისტურ ლაყბობასთან ერთად, რომელიც ამოცანად ისახავს გაამართლოს ჰიტლერის დამპყრობლური პოლიტიკა, შემდეგი საინტერესო განცხადებაა.

ავტორი მიმართავს ჯარისკაცს და ეუბნება:

„თუ შენ გამარჯვებული შეხვალ სხვის ქვეყანაში, მარტო გაკვირვებით კი არ დაგიწყებენ ყურებას, შენ როგორც შეიარაღებულს, სიძულვილით მოგეკიდებიან, თავს აგარიდებენ, გაგექცევიან...“

„ნუ ინუგეშებ თავს იმით რომ შენი ქვეყნის ძლიერების წინაშე შიში უკვე თრგუნავს სხვა ხალხს იმ შემთხვევაშიაც კი, თუ შენ თავშეუკავებლად იქცევი. შიშზე შეუძლებელია ბატონობის აგება; გამარჯვებული, რომელიც შეიძლება გეზიზღებოდეს, დიდხანს ვერ ისარგებლებს თავისი გამარჯვების ნაყოფით“.

როგორც იქნა, პირწავარდნილ ჰიტლერელს წამოსცდა სწორი სიტყვა. ასეულ მილიონობით ადამიანები ზიზღითა და სიძულვილით უყურებენ ჰიტლერელ ბანდიტებს. ჩვენ ვეთანხმებით ავტორს, რომ შიშზე შეუძლებელია ბატონობის აგება და რომ „გამარჯვებული, რომელიც შეიძლება გეზიზღებოდეს, დიდხანს ვერ ისარგებლებს თავისი გამარჯვების ნაყოფით“.

დიახ, ჰიტლერელები დიდხანს ვერ ისარგებლებენ იმით, რაც მათ ხელში ჩაიგდეს! ეს ისევე ნამდვილია, როგორც ნამდვილია მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარულ ხალხთა წმინდა სიძულვილი და ზიზღი ჰიტლერის გერმანიისადმი.

• • •

ყველა კორესპონდენტს უჩვენეს ციტირებულ გერმანულ ცირკულართა და ინსტრუქციათა დედნები და დაურიგეს მათი ფოტოასლები.

დიდი ანტიფაშისტური დემონსტრაცია პარიზში

ბერნი, 15 აგვისტო (საკდესი). 13 აგვისტოს პარიზში შესდგა დიდი ანტიგერმანული დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 ათასზე მეტმა კაცმა. დემონსტრაცია დაიწყო მუშათა რაიონში სან-ლაზარის ვაგზალში. რამდენიმე ასეული დემონსტრანტი—სტუდენტი, მუშა, მოსამსახურე—ქალაქის ცენტრისაკენ გაემართა შეძახილებით: „ძირს ოკუპანტები!“, „გაუმარჯოს თავისუფალ საფრანგეთს!“. პოლიციის გაძლიერებულმა რაზმმა დემონსტრანტებს სროლა აუტეხა, დაჭრილია რამდენიმე კაცი. დემონსტრანტები დაიშალნენ, რათა კვლავ შეკრებილიყვნენ სხვა ადგილას. ამავე დროს სან-დენის რაიონში ახალი დემონსტრაცია გაიმართა. აქაც დემონსტრანტთა წინააღმდეგ პოლიციის დიდი რაზმები გამოვიდნენ. შუადღისას ქალაქის ცენტრში თავი მოიყარა დაახლოებით 15 ათასმა დემონსტრანტმა, რომლებიც სხვადასხვა რაიონებიდან მოვიდნენ. დემონსტრანტები მოწონების მქუხარე შეძახილებით შეხვდნენ იმპროვიზებულ ტრიბუნაზე მყოფ იმ ორატორს, რომელმაც განაცხადა, რომ შექმნილია მძლავრი კოალიცია დემოკრატიული ქვეყნებისა, რომლებმაც მიზნად დაისახეს გაანადგურონ ჰიტლერის გერმანია და გაათავისუფლონ ევროპის ხალხები ფაშისტური ჩაგვრისაგან. ყველა კუთხიდან გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს ინგლისს!“, „გაუმარჯოს სსრ კავშირს და მის მამაც წითელ არმიას!“, „სიკვდილი ჰიტლერელთა ბანდას!“ და სხვ.

პოლიციამ დემონსტრანტებთან ვერაფერი გააწყო. მისი ყოველგვარი ცდა გაერეკა დემონსტრაცია, ამაო აღმოჩნდა და დემონსტრანტები მხოლოდ მას შემდეგ დაიშალნენ, როცა მოვიდნენ გერმანიის საოკუპაციო ჯარის დიდი რაზმები, რომლებმაც სროლა აუტეხეს უიარაღო პარიზელებს.

13 აგვისტოს, ღამით, პარიზში მასობრივი დაპატიმრება მოხდა. ამტკიცებენ, რომ დაპატიმრებულთა საერთო რიცხვი 2 ათას კაცს აღემატება. მათი უმრავლესობა ამ დღეებში სამხედრო სასამართლოს წინაშე წარსდგება.

პეტენის გამოსვლა

ლონდონი, 14 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 12 აგვისტოს, საღამოს, რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა პეტენმა.

საფრანგეთის ბევრი რაიონიდან, განაცხადა პეტენმა, ცუდი ამბები მოდის. ხალხი შეშფოთებულია. ხალხს ეჭვი ეუფლება. ჩემი მთავრობის ავტორიტეტს სადაოდ ხდიან. ბრძანებებს ხშირად ცუდად ასრულებენ. საფრანგეთის ხალხი განცვიფრებულია ამ შიშით, რომლის მიზეზებიც ადვილი გასაგებია: ზოგიერთი ფიქრობს, რომ მათ უღალატეს, ზოგიერთი კი ფიქრობს, რომ ისინი მიატოვეს.

შეეხო რა გერმანიასთან ურთიერთობას, პეტენმა განაცხადა: „თანამშრომლობის პოლიტიკა წარმოადგენს ხანგრძლივ საქმეს, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუტანია მთელი თავისი ნაყოფი“.

გადავიდა რა საშინაო მდგომარეობაზე, პეტენმა სთქვა, რომ იგი ყოველივე ზომებს მიიღებს ახლანდელი რეჟიმისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების დასათრგუნავად. პირველ რიგში აკრძალულ იქნება ყველა პოლიტიკური პარტიისა და დაჯგუფების საქმიანობა. პოლიციის ფუნქციები გაფართოვდება. საოლქო პრეფექტების რწმუნებანი გაძლიერდება.

აღნიშნა რა, რომ საფრანგეთის ხალხსა და ვიშის მთავრობას შორის „ორმაგი ზღუდე“ აღიმართა, პეტენმა განიმეორა ჩვეულებრივი ნაციონალ-სოციალისტური დემაგოგიის ლოზუნგები „მსხვილი კაპიტალისა და ტრესტების წინააღმდეგ“ ბრძოლის, „ნაციონალური რევოლუციის“ შესახებ და სხვ. და განაცხადა, დავაჩქარებ საფრანგეთის შეყვანას „ახალი წესრიგის მშენებლობაშიო“.

თავდასხმა იაპონიის კაბინეტის წევრ ხირანუმაზე

ტოკიო, 14 აგვისტო (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, საპროკურორო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ დღეს დილის 8 საათის შემდეგ საკუთარი სახლის სასტუმრო დარბაზში რევოლვერის ტყვიით დასჭრეს უპორტფელო მინისტრი, იაპონიის ყოფილი პრემიერი ხირანუმა. თავდამსხმელი დაუყოვნებლივ დააპატიმრა ხირანუმას სახლის კარებთან ტოკიოს რაიონის მცველმა რაზმმა. იგი აღმოჩნდა ისიამა ნაოხიკო, 33 წლისა. ისიამა ხირანუმასთან გამოცხადდა დილის 8 საათის შემდეგ და მასთან ლაპარაკის დროს უეცრად იძრო რევოლვერი და კისერში ესროლა ხირანუმას. ხირანუმას მდგომარეობის შესახებ არაფერი იციან.

ინგლის-ამერიკის დეკლარაცია

ვაშინგტონი, 14 აგვისტო (საკდესი). თეთრმა სახლმა პრესის საყურადღებოდ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი:

„ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი, რომელიც შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობას წარმოადგენს, ერთმანეთს შეხვდნენ ზღვაში. მათ თან ახლდათ ორივე მთავრობის ოფიციალური პირები, მათ შორის არმიის, ფლოტისა და ავიაციის უმაღლესი ოფიცრობა. შემდგომი განხილვის საგანი იყო მთელი პრობლემა იარაღის მიწოდებისა, იმ ქვეყნების შეიარაღებული ძალებისათვის სესხად ან იჯარით საჭურველის გადაცემის კანონის შესაბამისად, რომლებიც აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ აგრესიას.

თათბირში მონაწილეობა მიიღო ინგლისის სამხედრო მომარაგების მინისტრმა ბივერბრუკმა, რომელსაც განზრახვა აქვს გაემგზავროს ვაშინგტონს ამერიკის შეერთებული შტატების სათანადო წარმომადგენლებთან დეტალების შემდგომი განხილვისათვის. ამ თათბირებზე განხილულ იქნება აგრეთვე საბჭოთა კავშირის მომარაგების საკითხი.

პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა რამდენჯერმე ითათბირეს. მათ განიხილეს საკითხი თუ რა საფრთხეს უქმნის მსოფლიო ცივილიზაციას დაპყრობის გზით სამხედრო ბატონობის პოლიტიკის შედეგად შექმნილი მუქარა დაპყრობისა, რასაც ატარებენ გერმანიის ჰიტლერის მთავრობა და სხვა მთავრობები, რომლებიც მას შეუერთდნენ. ჩერჩილმა და რუზველტმა დააზუსტეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებსაც მათი ქვეყნები მიმართავენ იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ თავიანთი უშიშროება ამ საფრთხის წინაშე.

პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი შეთანხმდნენ შემდეგი ერთობლივი დეკლარაციის შესახებ:

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა, რომელიც შეერთებული სამეფოს მისი უდიდებულესობის მთავრობას წარმოადგენს, საერთო განხილვის შემდეგ, მიზანშეწონილად სცნეს გამოაქვეყნონ მათი ქვეყნების ნაციონალური პოლიტიკის ზოგიერთი საერთო პრინციპი, რომლებზედაც ისინი ამყარებენ მსოფლიოსათვის საუკეთესო მომავლის იმედებს.

1) ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი არ ისწრაფვიან ტერიტორიული ან სხვა შეძენისაკენ.

2) ისინი არ დაეთანხმებიან არავითარ ტერიტორიულ ცვლილებებს, რომლებიც იწინააღმდეგებიან დაინტერესებულ ხალხთა თავისუფლად გამოთქმულ სურვილს.

3) ისინი პატივსა სცემენ ყველა ხალხის უფლებას აირჩიონ მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, რომლითაც მათ ცხოვრება სურთ; ისინი ისწრაფვიან აღადგინონ იმ ხალხთა სუვერენული უფლებები და თვითმმართველობანი, რომლებსაც ეს ძალით წაართვეს.

4) ჯეროვნად დაიცავენ რა თავიანთ არსებულ ვალდებულებებს, მათი მისწრაფება იქნება უზრუნველჰყონ ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ყველა ქვეყანას — დიდსა თუ პატარას, გამარჯვებულსა თუ დამარცხებულს — საშუალება ექნება თანასწორ საფუძვლებზე ივაჭროს და ისარგებლოს მსოფლიო ნედლეული წყაროებით, რაც საჭიროა ამ ქვეყნების ეკონომიური აყვავებისათვის.

5) ისინი ისწრაფვიან მიაღწიონ სრულ თანამშრომლობას ყველა ქვეყანას შორის ეკონომიურ დარგში იმ მიზნით, რომ უზრუნველჰყონ ყველასათვის უფრო მაღალი დონე, ეკონომიური განვითარება და სოციალური უზრუნველყოფა.

6) ნაციტური ტირანიის საბოლოო მოსპობის შემდეგ მათ იმედი აქვთ დაამყარონ მშვიდობიანობა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა ქვეყანას უშიშრად იცხოვროს თავის ტერიტორიაზე, აგრეთვე უზრუნველჰყონ ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ყველა ხალხს ყველა ქვეყანაში შეეძლება მთელ თავის სიცოცხლეში ისე იცხოვროს, რომ არ იცოდეს, თუ რა არის შიში, არც გაჭირვება.

7) ასეთმა ზავმა საშუალება უნდა მისცეს ყველას თავისუფლად და სრულიად დაუბრკოლებლივ აწარმოონ ნაოსნობა ზღვებსა და ოკეანეებში.

8) ისინი სთვლიან, რომ მსოფლიოს ყველა სახელმწიფომ რეალისტური და სულიერი ხასიათის მოსაზრებებით ხელი უნდა აიღოს ძალის გამოყენებაზე, რამდენადაც არავითარი მომავალი მშვიდობიანობა არ შეიძლება დაცულ იქნას, თუ ის სახელმწიფოები, რომლებიც იმუქრებიან ან შეუძლიათ დაემუქრონ აგრესიით თავიანთი საზღვრების ფარგლებს გადაღმა, კვლავ ისარგებლებენ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საჭურველით. ჩერჩილი და რუზველტი ფიქრობენ, რომ საყოველთაო უშიშროების უფრო ფართო და უფრო საიმედო სისტემის დამყარებამდე ასეთი ქვეყნები განიარაღებულ უნდა იქნან. ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები აგრეთვე დაეხმარებიან და ხელს შეუწყობენ ყოველგვარ სხვა განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომლებიც მშვიდობისმოყვარულ ხალხებს გაუადვილებენ შეიარაღების ტვირთისაგან განთავისუფლებას.

ხელმოწერა:
ფრანკლინ რუზველტი.
უინსტონ ჩერჩილი“.

• • •

ლონდონი, 14 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის პრემიერი ჩერჩილი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს რუზველტს ზღვაში, სადაც მათ შეიმუშავეს ინგლის-ამერიკის საერთო დეკლარაცია, რაც განსაზღვრავს იმ მიზნებს, რომლებისთვისაც მოკავშირეები იბრძვიან, აგრეთვე ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს მომავალი ზავის გეგმები. კარგ საიდუმლო პირობებში მომხდარი ამ შეხვედრის შესახებ სპეციალური ინფორმაციით გამოვიდა რადიოთი ბეჭდის მცველი ლორდი ეტლი, რომელმაც გამოაქვეყნა ინგლის-ამერიკის დეკლარაციის ტექსტი, რაც ისეთივეა, როგორც თეთრი სახლის მიერ ვაშინგტონში გამოქვეყნებული ტექსტი.

უცხოეთის გამოხმაურება მოსკოვის სრულიად-სლავური მიტინგის გამო

თეირანი, 14 აგვისტო (საკდესი). მოსკოვში სრულიად-სლავური მიტინგის მოწვევასთან დაკავშირებით, ირანის საბჭოთა საელჩოს დიდძალი წერილი მოსდის ირანში მცხოვრები სლავებისაგან, რომელნიც თხოულობენ ამ წერილების მოსკოვში გადაგზავნას.

ბულგარელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი თავის მიმართვაში სრულიად-სლავური მიტინგის პრეზიდიუმის სახელზე სწერს: „ჩვენ, ბულგარელთა ჯგუფი, მზად ვართ ჩვენს მეგობრებთან, სლავ ძმებთან და გმირულ წითელ არმიასთან ერთად ვიბრძოლოთ ჰიტლერის ფაშისტური ბანდის სრულ განადგურებამდე“.

ირანში არსებული ჩეხოსლოვაკთა კომიტეტი სრულიად-სლავური მიტინგის პრეზიდიუმისათვის გამოგზავნილ დეპეშაში სწერს: „ირანის ჩეხოსლოვაკთა კოლონიის სახელით მხურვალე სალამს გიძღვნით. მტკიცედ გვწამს, რომ თქვენი წამოწყება საფუძველი იქნება ყველა სლავი ხალხის მომავალი მჭიდრო თანამშრომლობისათვის“.

კაირო, 14 აგვისტო (საკდესი). როგორც იუგოსლაველ ემიგრანტთა წრეებმა გაიგეს, მოსკოვში შემდგარმა სრულიად-სლავურმა მიტინგმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სერბიაში. სერბიელი მოსახლეობის უმრავლესობა რეპრესიების საშიშროების მიუხედავად, მოსკოვის რადიოთი მიტინგის ტრანსლაციას ისმენდა.

პანჩევოს რაიონში სრულიად-სლავური მიტინგის მიმართვის მოსმენის შემდეგ სერბიელ პარტიზანთა კონსპირატიული კრება შესდგა, რომელზედაც ყველა დამსწრემ საზეიმო ფიცი დადო, რომ იარაღს არ დაჰყრის მანამდე, სანამ ყველა სლავი არ გათავისუფლდება ფაშისტთა უღლისაგან და სანამ გერმანიისა და იტალიის ფაშიზმი საბოლოოდ არ იქნება განადგურებული. აქვე შემუშავებულ იქნა ტექსტი „პარტიზანთა ფიცისა“, რომელსაც ამჟამად საზეიმო პირობებში სდებს ყველა იუგოსლაველი პარტიზანი. ამჟამად მთელს სერბიაში განუმარტავენ ხალხს სრულიად-სლავური მიტინგის მიმართვას, რომელიც არალეგალურად გამოიცა უზარმაზარი ტირაჟით და ფართოდ ვრცელდება მთელს იუგოსლავიაში.

რეიტერის სააგენტო გერმანიაზე ინგლისის ავიაციის თავდასხმების შესახებ

ლონდონი, 14 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ომის დაწყებიდან კელნს დაახლოებით 100-ჯერ დაესხნენ თავს. 12 აგვისტოს დღისით „ბლენჰაიმის“ ტიპის თვითმფრინავების თავდასხმა ყველაზე ძლიერი თავდასხმა იყო გერმანიაზე იმ თავდასხმებთაგან, რომლებიც აქამდე მოეწყო დღისით. ლონდონში აღნიშნავენ, რომ ამ იერიშს დასჭირდა მტრის ტერიტორიაზე და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე უფრო ხანგრძლივი ფრენა, ვიდრე ყველა სხვა გაფრენას, რომლებიც დღისით მოხდა, და ჩამოგდებული ყუმბარების წონა მეტად მნიშვნელოვანი იყო. ავტორიტეტული წრეები აცხადებენ, რომ ინგლისის ავიაციამ გერმანიას ყუმბარა დაუშინა ამ ზაფხულში სწორედ იმ ძალით, როგორითაც გერმანიის ავიაცია უშენდა ინგლისს შარშან ზამთარში, როცა უფრო ხანგრძლივი ღამეები იყო. ლონდონში აღნიშნავენ, რომ გერმანელთა კომუნიკეს ჩვეულებად აქვს მოიხსენიოს „ინგლისის ცალკეული თვითმფრინავები“ ან „სუსტი ძალები“. ამ გამოთქმას ხმარობენ იმის მიუხედავად, 3, 30, 300 თუ მეტია ინგლისის თვითმფრინავთა რიცხვი, რომლებმაც იერიში მოახდინეს. ამავე დროს თავდასხმაში ინგლისის 300 თვითმფრინავის მონაწილეობა იშვიათი მოვლენა როდია. ამ წლის ივნისსა და ივლისში, სამ კვირაზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, რურს 2000-ზე მეტი ტონა ყუმბარა დავაყარეთ. გარდა ამისა, იმავე პერიოდში კელნს დავაყარეთ 1.000 და ბრემენს—500 ტონა ყუმბარა. ინგლისის 200 და მეტი ყუმბარმშენის ჯგუფები განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ღამით გერმანიას. გერმანელთა თითო ყუმბარმშენს, რომლებიც თავს ესხმოდნენ შარშან ზამთარში კოვენტრს, ერთიან სულ დიდი ერთნახევარი ტონა ფეთქებადი მასალა მოჰქონდა, ინგლისის თითო ახალ ყუმბარმშენს კი 5, 6 და 7 ტონაც მიაქვს. ასეთი ყუმბარმშენები სულ უფრო მეტი დგება მწყობრში. ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ 100 ასეთი თვითმფრინავის თავდასხმას უფრო მძიმე შედეგი მოჰყვებოდა, ვიდრე ყოველ თავდასხმას, რომელიც დღემდე განახორციელეს ინგლისის მიმართ. ინგლისური ყუმბარები არა მარტო უფრო დიდია, არამედ უფრო მძლავრიც არის, ყოველგვარ გერმანულ ყუმბარაზე. 1.000-კილოგრამიანი ყუმბარა ახლა „საშუალო“ ყუმბარად ითვლება.

ინდოეთის პრესა წითელი არმიის გმირული ბრძოლის შესახებ

ქაბული, 14 აგვისტო (საკდესი). ინდოეთის პრესა აღნიშნავს, რომ ფაშისტი დამპყრობლებისადმი წითელი არმიის წინააღმდეგობა დღითი-დღე ძლიერდება და გერმანიის ფაშისტური არმიის მდგომარეობა სულ უფრო ძნელდება. სწორედ ამიტომ გერმანიის სარდლობა იძულებულია შესცვალოს ხოლმე თავისი გეგმები და ხელი აიღოს გათვალისწინებული ობიექტების დაკავებაზე.

გაზეთი „ბომბეი ქრონიკლი“ სწერს, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა რუსებს შეუძლიათ დიდი კმაყოფილებით შეაფასონ. ფიურერის შტაბ-ბინაში ამან სერიოზული საფრთხის წინათგრძნობა უნდა გამოიწვიოს. ფაშისტები სცრუობენ, როცა აცხადებენ, ვითომც საბჭოთა ავიაცია მოსპობილია და საბჭოთა კავშირს ბრძოლაში უკანასკნელი რეზერვები გამოჰყავსო. ახლა ფაშისტი პროპაგანდისტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიანთი მარცხი გაამართლონ. ფაშისტური „ბლიცკრიგის“ 6 კვირამ დაამტკიცა, რომ რუსები შესანიშნავ წინააღმდეგობას ეწევიან და უნარი შესწევთ განუსაზღვრელი დროის განმავლობაში აწარმოონ მედგარი ბრძოლა.

თვით გერმანელები, — განაგრძობს გაზეთი, — აღიარებენ, რომ წითელი არმიის მეომრები მედგრად იბრძვიან უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

გაზეთი „ტრიბიუნი“ აღნიშნავს, რომ უკან დახევისას მთელი მარაგის მოსპობა, რაც სტალინის მითითებით ხორციელდება და პარტიზანების მოქმედება დიდ დაბრკოლებას უქმნის გერმანიას. ახლა ჰიტლერს არ შეუძლია არ აღიაროს, რომ მან საშინელი შეცდომა ჩაიდინა, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ. მის წინაშე დგანან ძალები, რომლებიც დაღუპვამდე მიიყვანენ მას.

გენერალ დე გოლის განცხადება

სტამბოლი, 14 აგვისტო (საკდესი). გენერალმა დე გოლმა ბეირუთის გაზეთ „ეურის“ კორესპონდენტთან საუბარში, რომელიც 5 აგვისტოს გამოაქვეყნეს, განაცხადა: „საბჭოთა არმიის შესანიშნავი წინააღმდეგობა თანამედროვე ომის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. ჩვენ არცერთ დღეს არ დავკარგავთ შესვენებისათვის, რის საშუალებასაც ეს წინააღმდეგობა გვაძლევს, და განვაგრძობთ მზადებას ახალი მოქმედებისათვის“.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკე

ლონდონი, 14 აგვისტო (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 13 აგვისტოს ღამით მტრის თვითმფრინავები ინგლისის ტერიტორიაზე არ გამოჩენილან.

ინგლისის ავიაციის ნაწილებით თავდასხმა საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე

ლონდონი, 14 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს, ნაშუადღევს, ინგლისის ავიაგამანადგურებლები მოულოდნელად დაესხნენ თავს საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროს, რომლის დროსაც მოსპობილია მტრის 13 ავიაგამანადგურებელი. ინგლისის 3 თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

ხალხის მღელვარება ნორვეგიაში

ლონდონი, 14 აგვისტო (საკდესი). როგორც ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ნორვეგიის ბევრ ქალაქში ანტიგერმანული დემონსტრაციები გაიმართა იმის გამო, რომ ჰიტლერის მოადგილე ტერბოვენმა საგანგებო მდგომარეობა შემოიღო ნორვეგიაში. აშკარა სამხედრო დიქტატურის დამყარებამ ღრმა აღშფოთება გამოიწვია ნორვეგიელ ხალხში. ბერგენში სერიოზული მღელვარება მოხდა იმის გამო, რომ პოლიცია გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად თავს დაესხა მშვიდობიან დემონსტრაციას. მრავალი დემონსტრანტი დასჭრეს, 70 კაცი დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს ბერგენის მახლობლად.

გერმანიის ჯარების საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაიმართა ტრონჰეიმსა და ჰურუმშიც (ოსლოს მახლობლად). ქალაქ ეგერსუნდს ჯარიმა დაადეს საჰაერო თავდასხმის დროს ანტიგერმანული დემონსტრაციის მოწყობისათვის.

აჯანყება იუგოსლავიაში

ათენი, 14 აგვისტო (საკდესი). უკანასკნელი ცნობების თანახმად, იუგოსლავიაში უაღრესად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. მთელ სერბიაში, ბოსნიაში, ჰერცოგოვინასა და ჩერნოგორიაში აჯანყებებს აწყობენ. ზაგრებში ყუმბარების აფეთქების შემდეგ გერმანელებმა სიკვდილით დასაჯეს 190 კაცი. გარდა ამისა, სარაევოს მახლობლად ყუმბარების აფეთქებისათვის რეპრესიის სახით სიკვდილით დასჯილ იქნა კიდევ 30 კაცი.

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო რომიდან გადმოგვცემს, გაზეთი „ილ პიკოლი“ იუწყება, რომ ზაგრებში სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს 200-მდე კაცს, რომელთაც შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა ჰბრალდებოდათ. უსტაშთა ფაშისტურ რაზმებთან აჯანყებულთა შეტაკების დროს ამ რაზმების შემადგენლობიდან დაიჭრა 28 კაცი.

თავდაცვის ფონდი

ქუთაისის მშრომელები აძლიერებენ თავდაცვის ფონდს

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის ქუთაისის კვანძის მუშა-მოსამსახურეებმა თავდაცვის ფონდში ნაღდ ფულად შეიტანეს 2-3 დღის ხელფასი, სულ 23.865 მანეთი და გადასწყვიტეს ომის დამთავრებამდე თავდაცვის ფონდში ყოველთვიურად გადარიცხონ ერთი დღის ხელფასი. გარდა ამისა, მათ შეიტანეს 41.235 მანეთის ობლიგაციები.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებმა და მუშა-მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს ყოველთვიურად შეიტანონ თავდაცვის ფონდში ერთი დღის ხელფასი, ერთდროულად უკვე ჩარიცხეს ორ-ორი დღის ხელფასი, თვეში ორჯერ გამართავენ სპექტაკლს, რომლის შემოსავალი მთლიანად ჩაირიცხება თავდაცვის ფონდში. თეატრის კოლექტივმა შეიტანა აგრეთვე 20.000 მანეთის ობლიგაციები.

ტყავფეხსაცმლის კომბინატის სტახანოველმა ამხ. მ. სალდაძემ, რომელიც წითელ არმიაში გაწვეული თავისი ამხანაგის დაზგასაც ამუშავებს და ორ ცვლაში ორი დაზგის ნორმას 300-400 პროცენტით ასრულებს, თავდაცვის სახალხო ფონდში 10 დღის ხელფასი ჩარიცხა. ორ-ორი კვირის ხელფასი შეიტანეს ფანცხავამ, ჯიმშელეიშვილმა, დეისაძემ და სხვ. კომბინატის მუშათა კოლექტივმა თავდაცვის ფონდში ნაღდ ფულად შეიტანა ორი დღის ხელფასი და გადასწყვიტა ყოველთვიურად ამდენივე თანხა შეიტანოს ომის დამთავრებამდე

ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის, ლიტოპონის ქარხნის, კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის და სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში მშრომელებმა გადასწყვიტეს ომის დამთავრებამდე ყოველთვიურად გაიღონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდისათვის 2-3 დღის ხელფასი.

ზრ. რუხაძე

პროდუქტები თავდაცვის ფონდში

გორი („კომუნისტის“ კორ.). გორის რაიონის კოლმეურნეებს სოფლის მეურნეობის პროდუქტები შეაქვთ თავდაცვის ფონდში. ხიდისთაველმა კოლმეურნეებმა შეიტანეს 25 კილოგრამი ყველი, დიდი გარეჯვარის კოლმეურნეობის წევრებმა 5 კილოგრამი ერბო, ნადარბაზევისამ — 20 კილოგრამი ყველი, ბერშუეთისამ—10 კილოგრამი ერბო და 20 კილოგრამი ყველი.

ს. ურაშვილი

3.150 პროცენტით

ჩაქვი (ტელეგრაფით). ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ცნობილმა სტახანოველმა ფაცია დოლიძემ 14 აგვისტოს 441 კილოგრამი პირველხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და დღიური ნორმა 3.150 პროცენტით შეასრულა. ამხ. ფ. დოლიძემ 14 აგვისტოს გამოიმუშავა 327 მანეთი. ეს თანხა მან მთლიანად შეიტანა თავდაცვის ფონდში.

გ. ნანუკაშვილი
ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

„აგიტაცია სამამულო ომის სამსახურში“

„კომუნისტის“ გამომცემლობამ გამოსცა კრებული მასალებისა აგიტატორის დასახმარებლად: „აგიტაცია სამამულო ომის სამსახურში“.

კრებულში მოთავსებულია: „პრავდის“ 1941 წლის 17 ივლისის მოწინავე „აგიტაცია სამამულო ომის სამსახურში“, „პრავდის“ სარედაქციო სტატია „ლენინი საბჭოთა მიწა-წყლის დაცვის შესახებ“; კ. კალაშნიკოვის სტატია „პოლიტიკური აგიტაცია სამამულო ომის პირობებში“ და ფ. კვარტალნოვის სტატია „აგიტატორის შენიშვნები“.

კრებული 30 კაპ. ღირს.

კრებული „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაციამ“ ამხ. ირ. აბაშიძის რედაქტორობით გამოსცა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი კრებული — „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“. კრებული შეიცავს ქართველი პოეტების და მწერლების ლექსებსა და პროზაულ ნაწარმოებებს სამამულო ომის თემაზე. აქ დაბეჭდილია ალექსანდრე აბაშელის ლექსები „ცამ დაიქუხა გუშინ“ და „დედის წერილი“, ირ. აბაშიძის—„საქართველოს პოეტებს“ და „პარტიზანები“, ალ. ადამიას—„და დიდი ხალხი მას უსმენდა სულგანაბული“, კ. ბობოხიძის 3 ლექსი, ვ. გაბესკირიას „სამამულო ომის სურათები“, რაჟდენ გვეტაძის „შვილის წერილი“ და „მფრინავი“, ვასო გორგაძის „სამშობლოსათვის“, ი. გრიშაშვილის „ჩვენს დებს და დედებს“, სანდრო ეულის „არასდროს“, ხარიტონ ვარდოშვილის „სამშობლოსათვის“ და „ლაშქრული“, შ. იოსელიანის 2 ლექსი, კარლო კალაძის „სიმღერა“ და „შალვა ლებანიძეს“, გიორგი კალანდაძის 3 ლექსი, გიორგი კაჭახიძის 2 ლექსი, გიორგი ლეონიძის „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, „ხმალი კვლავ გავაკაშკაშოთ!“ და „წინ, სტალინური არწივო!“, ალიო მაშაშვილის „ომი ომს“, „წერილი“, „ზელადის მოწოდებაზე“, „ზღვის არწივი“, რ. მარგიანის „მამულისათვის გვიხმობს ზელადი“, ი. ნონეშვილის „ძმაო, ავიღოთ ხელში შაშხანა“, ვ. ჟურულის „მაიორი ლებანიძე“, ალ. საჯაიას „ტიმოშენკო ფრონტზე“, გალაკტიონ ტაბიძის „მამულო, სიცოცხლეო“, „მასთან ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა“ და „აშკარა მხეცი“, ალ. ქუთათელის „სტალინის დროშით“, გიორგი ქუჩიშვილის 2 ლექსი, სანდრო შანშიაშვილის „კოლმეურნის წერილი წითელარმიელ შვილისადმი“, სიმონ ჩიქოვანის „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“, „გმირულად დაღუპულ მფრინავ გასტელოს“, „ერთი თვე არის“, კონსტანტინე ჭიჭინაძის „მშობელო მხარევ!“ და გრ. ცეცხლაძის „გასტელოს ხსოვნას!“.

კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე პროზაული ნაწარმოებები შალვა დადიანისა „საომარი შემართებანი“, სოლომონ თავაძის „ქალის გული“, ანდრო ლომიძის „სამშობლოსათვის“, ი. მოსაშვილისა და კ. ლორთქიფანიძის სცენარი „ერთხელ ღამით“, ალ. ქუთათელის „ხიდი“, ლეონიდ ქორქიას „ყვავები“, დემნა შენგელაიას „მეოთხე ძმა“ და სიმონ წვერავას „მოლაშქრენი“.

კრებული ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 150 გვერდს და ღირს 6 მანეთი.

„ბატალიონი დასავლეთისაკენ მიდის“

მოსკოვი („კომუნისტის“ საკ. კორ.). მოსკოვის კამერული თეატრი სეზონის გახსნისათვის ამზადებს გ. მდივნის ახალ პიესას „ბატალიონი დასავლეთისაკენ მიდის“. პიესის მოქმედება ჩვენს დღეებში სწარმოებს. იგი მოგვითხრობს რკინიგზის მემანქანე გიგაურის შეხმატკბილებულ ოჯახზე, რომელიც გაერთიანებულია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და მოვალეობის ერთი გრძნობით. გიგაურის ორი შვილი—ილო და ოთარი ფრონტზე წავიდნენ მობილიზაციის პირველ საათშივე, ოთარის საცოლე მარინე კი მამამისთან ერთად მატარებლებს დაატარებს. მოხუცი გიგაური და მარინე ილოსა და ოთარს გამოეთხოვებიან პიესის დასაწყისშივე, ხოლო ხვდებიან მათ პიესის დასასრულს. ოთარი და ილო ალაგებენ ფაშისტების მიერ დანგრეულ ხიდს, რომელზეც მოხუცმა გიგაურმა და მარინემ დასავლეთისაკენ მიმავალი მატარებელი უნდა გაატარონ. მამა და შვილები ერთად მოიპოვებენ გამარჯვებას მტერზე. ამბები გ. მდივნის პიესაში გაშლილია უმთავრესად ფრონტზე და ფრონტის ახლოს. ეს არის საბრძოლო ეპიზოდები და მოკლე შესვენებანი ბრძოლებს შორის.

„მდივანი დროულად გამოეხმაურა მოვლენებს,—სწერს დღეს „საბჭოთა ხელოვნება“.—პიესაში არის ცხოველმყოფელობისა და აღფრთოვანების ატმოსფერო, რომელიც სამართლიანად მიაპყრობს მასზე თეატრების ყურადღებას და უეჭველად მოუპოვებს მის გმირებს მაყურებელთა სიყვარულს“.

„ბრძანება ფრონტისადმი“

მოსკოვი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 10 აგვისტოს მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრში შესდგა პრემიერა გ. მდივნის პიესისა „ბრძანება ფრონტისადმი“, რომელიც გვიჩვენებს სამოქალაქო ომის ერთერთ ეპიზოდს და გვიხატავს დასავლეთის ფრონტის XVI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის სერგო ორჯონიკიძის სახეს. სპექტაკლი დასდგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ანდრია კრიჩკომ, მუსიკა ვანო მურადელის. სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ამ სპექტაკლის შექმნაში თეატრს დიდი დახმარება გაუწია ზინაიდა ორჯონიკიძემ, რომელმაც მსახიობებთან ჩაატარა საუბრები და გაუზიარა მათ თავისი მოგონებები ამხანაგ სერგო ორჯონიკიძეზე.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., დამკვრელი (საზაფხულო და ზამთრის)—„მოკრივეები“, ოქტომბერი—„წითელი ეშმაკუნები“, კომკავშირელი (საზაფხულო) — „მესაზღვრეები“, კომკავშირელი (ზამთრის) — „ორიოლის დაღუპვა“, სპარტაკი - „მტრის ზურგში“. ლუქსემბურგის სახ.—„დარიკო“. 26 კომ. სახ. (საზაფხულო და ზამთრის)—„მტრის ზურგში“, კომინტერნი—„კაცი რესტორანიდან“, განთიადი—„ჩაპაევი“. საზკვების კავშირის კლუბი—„პეპო“, ვორონცოვის სახ. კლუბი—„ტანკერი „დერბენტი“, ნავთლუღის რკინიგზის კლუბი—„მეგობრობა“, გორკის სახელობის კლუბი —„მეგობრები ბანაკიდან“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულორის პლატო)
17 აგვისტოს დიდი კონცერტი
მონაწილეობენ ა. ორლოვა (ბოშური სიმღერები), ი. ტერეხოვა—ბ. პლეტნიოვი (მოსკოვის ბალეტის მსახიობები) ა. გომელაური—ა. კვანტალიანი (იუმორი). დასაწყისი 7 ს. დაწვრილებით აფიშებში.
ყოველდღიურად მახობრივი გართობანი, სახულე ორკესტრი, საცეკვაო მოედანზე 16 და 17 აგვისტოს საერთო ცეკვები ჯაზ-ორკესტრის თანხლებით. პარკში მთელი დღის განმავლობაში მუშაობს საპარკო ატრაქციონები: ტირი, კარუხელი, ხაქანელა და სხვა.

საქ. ფინსახკომის სახელმწიფო შემოსავლების სამმართველო იუწყება ამხ. შალვა გოგიას დედის ელისაბედ გოგიას გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. აბუთში 16 აგვისტოს. 12398

თბილისის ალმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ადმინისტრაცია, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები იუწყებიან ივანე ულენტის გარდაცვალებას. 12400

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის მე-18 საშუალო სკოლა იუწყება ლამარა ალექსანდრეს-ასულ ხომაშურიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/VIII 7 ს. გამოსვენება 17/VIII 5 ს. მოსკოვის, 13. ვერის ძველ სასაფლაოზე. 12402

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექცია იუწყება პედიატრიული კათედრის გამგის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ილია გიორგის-ძე ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. 12399

თბილისის ალმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ადმინისტრაცია, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები იუწყებიან ირაკლი ვასილის-ძე ჯავახიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/VIII 7 ს. გამოსვენება 17/VIII 6 ს. კავშირის ქ. 10 1 101

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა — 3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება - ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების — 3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 18004